

ქართული
ლიტერატურა

ნიშადური




№ 43

მ რ ვ ე ლ კ ვ ი რ ე ლ ი მ უ რ ნ ა ლ ი

№ 43

«ნიშადური» დღეიდან წლის დაძლევაძდე ღირს 3 მ. 50 კ. ხოლო წლიურ ხელის მოძწერთ (5 მ.)
გზავნება ეველას ძველი №№-ები, ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი და «ნიშადურის კრებულები».
იუადება წარსული წლის სრული კომპლექტი უღით—2 მან.
მისამართი: Тифлиς, Валериану Гунია, ред. «Нишадури».

ქართული პოეზია



აკაკი წერეთელი (50 წლის იუბილეს გამო).


პირველი ქართველი „ნაროდნიკები“



ანთიმოზ გაძყრელიძე

(„პროცესი ორმოც-და ათთა“)

ამათი ბიოგრაფია შემდეგ
ნამუშეო იქნება



ალექსანდრე ციცივილი

მტენი ხართ თუ მოსვარანი?

„ხედავთ, ვითარის კანდიერებით,
შეკრებიან ჩვენზედ „უსჯულოება“.
ნ. ბ.

I

მართლაც და „ჩვენი“ თანა დაბრეყებული, დაბალ-ღობედ მიჩნეული ვრი, ჩვენი თანა სხელ-გაცეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედა-მიწის ზურგზედ. ვინც ცნებავთ, ან ზედ-გვაბობებ, ან გვეკლავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის არის კავკასიის ქედს აქედ ჩვენი ხსენება გააჩნაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ“...

ჩვენი ციკრონი მართალი იყო, როდესაც ამას სწორად მთელი თავისი გულწრფელობითა და მამულიშვილური გამბედაობითა. იგი ებრძოდა სოჭხთა ინტელიგენციის იმ ერთ ჯგუფს, რომელმაც მიზნად დაისახა ჩვენი გაბიბრება. მადლობის მაგივრად მასვე უწოდეს „შოვინისტი, ერის ერზედ მიმსისინებელი, პროვოკატორი და სხვა; მაგრამ რომ ჩვენში საზოგადოებრივი სინილისი ყოფილიყო, — მაშინ ილია ჭავჭავაძე უნდა დაჯილდოებულიყო მისი „ქვათა-ლაღისათვის“ ყველასაგან, — ქართველთაგან, რუსთაგან, თათართაგან და განსაკუთრებით სომეხთაგან-

მაგრამ გონებით დახშულმა, მწირმა და გაიძვრა ხალხმა ყველა ერთგნებისამ მას სწორედ ის მოახვია თავს, რასაც იგი მთელი თავისი წიგნის პირველ მეოთხედში უარ-ჰყოფდა; მას სწორედ ის შოვინისტობა შესწამეს, რომელსაც იგი ებრძოდა, სწორედ ის გესლა ჩაახსეს გულში, რომელსაც იგი სხვის გულში ეძებდა და გადმონათხევინა კიდევ ქვეყნის თვალის წინ, — მაგრამ ადამიანის უნამუსობას თურმე ნაწელი დღისაც არა სცხვენია, მას თურმე საზღვარი არა ჰქონია და ილიასაც ასე გადუხადეს სამაგიერო ქეშმარიტების სიყვარულის თვისა და გამოქვეყნებისათვის. — ჩვეულებრივი მოვლენაა, — ასეთი წესი ბრძოლისა ყოველთვის სჯულად სწამთ უსირცხვილოსა და ილიაც ვერ ასცდა ამ სასტიკ კანონს ადამიანის სისულელისას.

მას უკან კი ხანმა გაიარა, იმ გმირებმა, რომელთაც ი. ჭავჭავაძემ მათი საგმირო საქმეები თავზედ გადააფხრიწა, ცოტა უკლებს გმირობასა და ჩაანელეს კანდიერების ცეცხლი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ცეცხლი ჩვენ მივე გაჩაღდა; ქართველმა მეწი ქვილეებმა თავისივე წისქვილს დაუწყეს ნგრევა და ლამის არის საფუძვლიანად ამოაგდონ მიწიდან, ლამის არის მართლაც მთელი ჩვენი სახსენებელი აღგავონ დედა-მიწის ზურგიდან და ჩალასავით ქარს გაატანონ!

ეს, მართლაც რა შავი ყორანი დაგვჩხავის თავს? ეს რომელი მტერი შემოგვეყვია და აღარა ზოგავს და რა დეგრად, ოღონდ კი თვისი ფანატროსობა ქეშმარიტებად მოაჩვენოს მთელ ქვეყანას? ეს რა გონების დახშობაა ჩვენი, რა ღვთის წყრომა და უბედურებაა ჩვენს თავს რომ ველარც კი ხედავთ კარზედ მომდგარ გამძვინვარებულ მტერთა, ისეთი ფან ტიკოსობით აღჭურვილთ, რომ ჩვენი ძველად განწანადგურებელი სპარს-ოსმ. არ ყოფილან ისეთი ზიზღით აღვისილნი ჩვენდამი, როგორც ისენი არიან! აქაო ჭქართველები არიანო, — მიტომ უნდა გვქონდეს თვალები ახვეული? აქაოდა თავიანთ თავს სოციალისტებად ნათვლენ — იმ გულ-უბრყვილო ჭქვეყნის მოსატყუებლად წოდებულმა სახელმა ვედარა უნდა გაგვაბედვინოს

რა მართვის? აქაო და „პარტია“ ამიტომ არისო, — არის ხელ-შეუხებელი ეს „წმინდა მხედრობა“ — თქვენა იეზუიტების ორდენი აპარტენანსს, — თქვენა განების პარტია პარტია არ არის ამ სიტყვის ნაშტად აზრით? — და მაშ კაცი ამ „პარტიების“ შიშით აბა ველ იტყვის? — რა არის ეს, თუ არა ჩვენი უკიდურესი შეუღლობა, გულ-ციგობა, სიმბდალედ და თანაც სქელ-კანიან

საუკუნეთა განმავლობაში დატანჯულნი, ასის განმავლობაში მოცუებულნი და ბოლოს მთლად განარბებულნი, — იმის ოცნებაში ვიყავით რომ ჩვენშიც უნდა უბუქა ევროპის უდიდესი იდეალის, — სოციალიზმის უბუქო; როდესაც დადგა წამი, მთელ კავკასიაში მთელი ჩვენი ვიბრძოდით, როგორც მთელი ხალხი, ნაციია, ამ იდეალის განხორციელებისათვის ამისთვის დაგვწვეს და გაგვაუბატურეს, — ესეც ავიტარამდენადაც კი შეგვეძლო — გმირულად, — სხვებსაგებ ქალსოფლად არ დახეტებოდნენ ჩვენი ხროვები „ПОМОГИТЕ НАМ ГРУЗИНСКИМЪ“ არ დახოდნენ, — და ენლა სწორედ ამ დღისათვის სახელით, სწორედ ჩვენი, ქართვე. მოციქ. გვიპირ მთელ ერს ჩვენი ოცდახუთ საუკუნეში დატულ სახელი დასაც კი თავისუფლებას ვილა სჩივის, — თვით „ავტონომიის“ აღარა გვევლიან! აწმყოში ჩვენ გაბიბრებულ ვილა სჩივა, — წარსულსაც კი ზიზღით იხსენიებენ, აწმყოში რომ თავისუფლების უღირსნი გაგვხადონ და მონობის უღვიძრად მხოლოდ როგორც ვილაც სხვებში არეულ ხალხს — ამ ს ვილა სჩივის, — წარსულშიაც თურმე არაფერი გვეტოვრმე სულ სხვას შემოუტანია ჩვენში წესიერება, სტიტურა, ხალხის თავისუფლების სული, მწერლობა, მოქალაქეობა, — და კიდევ ვინ იცის რამდენი ოქროს გვირგვინი მოუტომეგია ჩვენთვის, პირველ-ყოფილ ბუშენთა განათლებულ სკვითთა და საზამტათა თვითმპყრობელ ბიკრატის!

ამას სულ ჩვენში ამბობენ ქართველები, რომელთა თუმცა კი სწამთ, რომ ურუსულოდ ძნელია საქართველ ქართველის განკაცება, მაგრამ ამდენი ხანი რუსული უსწავლიათ და მზარეულებისა და ლაქების ქართულის არა ენა არ ემარჯვებათ! ამას გვეუბნევიან ეს დალატის განიზატორები და დალატში დაფნის გვირგვინებს თხოუბენ! გულ-უბრყვილო ხალხიც აქაობს მათ გარეცხილ ლებს ტრიუმფის გვირგვინითა, ვინაიდან არა ესმის რა სიტყვა ატყუებს, — ცკბილი სიტყვა, — და ვერ წარმოუდგენთ რა რისხვის დღე დაადგება, მართლაც რომ განხორციელდეს ეს მათი „პირველიდან ყოფილი“, ანუ უკეთ ვსთ პირველ ყოფილი ადამიანის „სიტყვა“.

ვილაც „ანე“-ბი, „ა-ები“ და კიდევ ვინ იცის რამე წვრილ-ფეხა მკლანბელი — ეს სამი წელიწადია ყველა დაჰპარტოვიან საქართველოს გაოხრებულ საყდარს სთხრიან ძირიანად მის საძირკველსაც კი! რა დაგიშვავთ ქართველომ, რომ სახელიც კი შეგზიზღვით მისი? — ის ქართველმა დედ-მამამ მოგცათ სიცოცხლე, აღზარდათ, ვრებაში გამოგიყვანათ, ის რომ ქართველმა საზოგადოებრივი მწვირინი თავები დაგბანათ და დაგლუჯილი ჩოხების მადრად — სერთუკები ჩავაცვათ, „გაგანტელიგენტთ“ თქვენ და საუბედუროდ? ის, რომ ენლაც აქა ყრიხართ და ისევე თველი თუ, თორემ რომ გაგიჭირდეთ არც ერთი თქვენი ტრონი“ ლუკმსაც არ წაგტებთ, — და სამართლიანად რადგანაც პატრონსაც კი სძულს თავისი გაიძვრა ყმა, — ლით მდაბალი, „ცრუ და დალატინი“? —



და ერთი შეხედვით ამ ბ-ნ ანებსა და ა-ებს, როგორი მკვლევარი წადილით მოგვედგომიან და აღარ გვზოგვენ? ჰკითხეთ,—რა უნდათ ამ ვაჟბატონებს, რას ჩავვაცივ- ამ სულ უკანასკნელად და ლამის არის ზურგზედ ბოლი დინონ თავისი „ისტორიითა“ და საქართველოსათვის „კე- ის სურვილებით“? რა უნდათ ამ ვაჟბატონებს, რომელთაც ის არის ეზოვს, პატკანოვსა, ვოსტარგოვსა და იანოვ- გადაპარბონ „პატრონთა ერთგულებითა“ და ჩვენზედ რამეების შეთხზვითა, რომ ზემოხსენებულნი პირნიც განიარებდენ და მათ ტაშს დაუკრავდენ, ჩვენ კი მოგვი- ცადენ,—აი ბოლოს რა ჰკვიანნი და პატიოსანი „არა- ბრისტიები“ გამოგვჩენიათ ქართველებსო!—ერთი ჰკითხეთ, უნდათ, რას ღრიალებდენ, რის მუცლის მგვრევა აქვსთ, რათ სრიათ ყელში საქართველოს წარსული, მისი სახელი, მისი ავალი თავისუფლება! უცხო მტერი რას აძღვესთ, შინა- კი რომელი ეუბნება მადლობას, გარდა მატყუებელთა, მტყუებელთა და დაბრმავებულთა!

ჯერ იყო-და,—ოდეს შეიკრიბა დიდებული სინედრონი თვის ს.-დემოკრატიის პარტიის დასაარსებლად,—სინედ- ნი, რომლის წევრთაც არა გაეგებოდათრა ვერედ წოდე- ლ განაპირა ქვეყნებისა, განსაკუთრებით საქართველოსი,— იცოდენ არც მისი წარსული, არც მისი აწმყო, არც მისი ჩვეულება, არც ლიტერატურა,—სრულიად არაფერი,— სინედრონიმა ერთი სიტყვით უარ-ჰყო რუსეთში შესულ თავისუფლება, თვით ავტონომიაც კი! ჯერ ერთი სო- ციალისტი რის სოციალისტია, თუ ერთა სრულ თავისუფ- ზასა უარ-ჰყოფს, გინდ აწმყოში, გინდ მომავალში, მეო- —ეს სოციალისტ-დემოკრატი რის დემოკრატია, თუ იგი ავტონომიასაც უარსა ჰყოფს! მესამე,—რა უფლებით ეგებს ან სოციალისტი, ან დემოკრატი ისეთ ერთა ბედსა უბედობას, რომელზედაც არა იცის რა? და აბა ერთი ბრან ამ ვაჟბატონებმა,—ვინ იყო იმ კრებაზედ (1904 წ.) თა და სხვა მოწინააღმდეგეთა შორის მცოდნე პოლონე- და, ან განსაკუთრებით საქართველოსი? და თავისი უმეც- რით სხვისი დაღუპვა, სხვისთვის აუცილებელი მონობის უკრად მირთმევა მხოლოდ ისეთი ლოდიკისა და გულის მინანებს შეუძლიანთ, როგორნიც იქ იყვნენ! საცოდავმა უფლებმა სული დაჰბერეს და განაცხადეს,—ჩვენ ჩვენი პოლი ორგანიზაციები გვინდაო, ჩვენ ჩვენ თავს გავუძ- ბით უკეთო,—და სწორედ ეს იწყინა სინედრონიმა,— უფლებს ნაციონალისტები უწოდეს. ქართველმაც დაიბ- ჟუნა რაღაც ამის მსგავსი,—ერთი აურ-ზაურით განაცხა- ბა არიქა „ბუნდიკი“ იბადებაო, და ქართველმაც ენა ჩაი- ბნდა;—და მას აქეთ არის თავიანთ „პატრონებზედ“ უფ- რი ფანატისობით იცავენ ჩვენი დამონებულნი რუსეთის მონობასა და საქართველოს თავისუფლების მანებლობა- და შეუძლებლობას. იმ დიდმა სანედრონიმა იქამდის მი- ია, რომ ენების თანასწორ უფლებიანობაც კი ჯერ უარ- ს დღევანდებმა და მერე ერთისა თუ ორი ხმის უმეტე- რით გაიყვანეს. ერთი დიდებული კი პირდაპირ ყვიროდა ტრალურ მუშტზედა და რუსეთის საზღვართა მთლიანო- ლდ, თითქოს რომელიმე დიდის ომის შემდეგ საზღვ- რზედ ჰქონდეს რუსეთს დავა სხვა რომელიმე სახელმწი- თთან!

მას შემდეგ ჩვენში ეს „ხამობა“ არ შეწყვეტილა, იგი უშობს და ბოლოს და ბოლოს ისეთ წუმპედ გადაქცევა, მგონი შიგ ჩაიხრჩონ თვით მისი დამყენებელნი და შიგ

მკურანენი! მთელი რევოლიუციის დროს იმასა ჰყ იროდნენ, რომ ბატონ-ყმობას მოიტანს ავტონომია, უმცირეს დანახვე- რას, კლასთა ბრძოლის „შენელებას“, მუდგებულ რუსეთისა- გან ჩამოშორებას, ეროვნებათა მტრობასა და ვინ იცის კი- დევ რასაო! თქვე დალოცვილებო, თუ ავტონომია თავის თავად ასეთი საშინელი რამ ყოფილა, რათ ეტრფის მას ყვე- ლა დაჩაგრული ერი მთელ დედამიწის ზურგზედ? ნუ თუ მარ- ტო თქვენ შეიგნეთ მისი ასეთი საშინელი ხსიითი და ყველა ეს ერები,—პოლონელები, ფინლანდიელები, ირლანდიელები და სხვა—სულ ბატონ-ყმობის მომხრენი არიან, სულ მეფო- ბას ეტრფიან? ნუ თუ იქ აღარ არის სოციალისტი, ან ჰკვი- ანი ადამიანი, მოყვარული და არა მტერი ხალხისა, რომ ესევე დიდი სიმართლე აღიაროს ხალხში? რატომ მაინცა და მაინც თქვენზედ გადმოვიდა სული წმინდა და ასეთი დიდ- ბული აღმოჩენა გარგუნათ წილად თქვენდა უკვდავების სა- ხელის მოსახვეჭელად?

ვინ იცის რა არგუმენტები წამოაყენეს ამ ვაჟბატო- ნებმა ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგ: სოციალიზმის ინტე- რესი, კლასთა ბრძოლის გაძლიერება, ერთა შორის სოლი- დარობა, რუსეთის მთლიანობა და კიდევ ვინ იცის რა. მათი არგუმენტები ისეთივე სუსტი და ჩალასავით მსუბუქი იყო, როგორც მათი აზროვნება და მათი გულ-წრფელობა. ძალიან ადვილად დაუმტკიცეს ამ ვაჟ-ბატონებს, რომ სოციალიზმის ინტერესისა და რუსეთის ცენტრალიზმის ერთმანეთთან შე- რიგება შეუძლებელია,—მეორე უარ-მყოფელია პირველისა. დაუმტკიცეს აგრეთვე ანარხისტებმა, რომ სოციალიზმის წმინ- და პრობლემას არა აქვს პირდაპირი კავშირი არც რუსეთის მთლიანობასთან და არც სხვა აწმყო და მომავალ სახელმწი- ფოსთან,—სოციალიზმი ყველა მათი უარ-ყოფაა. დაუმტკი- ცეს აგრეთვე, რომ იმ ერთა შორის, სადაც „ეროვნული კიახვა“ გადაწყვეტილი არ არის, სწორედ სუსტია კლასთა ბრძოლა და მის ადგილს იტყობს ერთა ბრძოლა, როგორც ეს არის ირლანდიაში, როგორც ეს იყო სერბიაში, ბოლგარია- ში, რუმინიაში და იტალიაში. ამ ქვეყნებში სოციალიზმი განვითარდა მხოლოდ ეროვნული თავისუფლების შემდეგ. დაუმტკიცეს, რომ თვით დემოკრატიულ უკიდურეს რეფორ- მათა განსახორციელებლად ფედერალიზმი და ავტონომიზმია ერთად ერთი საშუალება,—ისეთ დიდ „იპპერიაში, იმხელა სივრცეზედ და ისეთის მრავალ რიცხოვანი და აქრელებული ხალ- ხისათვის კი,—როგორც რუსეთია, მისი სივრცეა და მისი ხალხის რაოდენობა და ეტნოგრაფია,—ყოვლად შეუძლებე- ლია ნამდვილი რესპუბლიკა, დემოკრატიზმი,—ყოვლად შეუ- ძლებელია რომ ასეთი სახელმწიფო, როგორი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მას გახდეს არა შოვინისტური, დაპყრობის ტენდენციებს მოკლებული, და ბიუროკრატიის კლანჭებსაც თავი დაანწიოს. მთელი თეორიები სოციალიზმისა, მთელი სოციალოგია, მთელი ისტორია, მთელი თანამედროვე ევრო- პის ვითარება, მთელი მეცნიერება სახელმწიფო უფლებისა თავზედ დააბურტყეს ამ ვაჟ-ბატონებს; თვით მარქსისა და ენ- გელსისა, თვით თანამედროვე ევროპის ს.-დ.-პარტიათა და მათ დიდ ლიდერთა სიტყვებით, გადაწყვეტილებითა და არგუ- მენტებით ამტყუნებდენ ამ სქელ-კანა ფილოსოფოსებს,—მა- გრამ არა გაეწყო რა, როგორც კლდეს არა ეყურებარა, ისე მათ ვერა შეადმინესრა და მათ კი ლანძღვა-გინებითა, შოვი- ნიზმის ბრალად-დადებითა, სასაცილოდ ავადებითა, უშნო-უკ- ბილო დაცივნითა და „გამოდისებით“ გასცეს პასუხი მო- წინააღმდეგეებს.

იქამდისაც კი მივიდნენ, რომ სულ წინად, კავკასიის სინდრონიზმა გადასწყვიტა, თუ რუსეთიდან ხალხს გადმოსახლებენ, ამის წინააღმდეგი არა გვექნებათ. ამაში რასაკვირველია ამჩილეს ეს უებარი სოციალისტები და ინტერნაციონალისტები,—ამით ხომ რუსის მთავრობის ოცნების განხორციელებას უწყობთ ხელსაო! მერე რა უთხრეს პასუხად? —იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ამბობდნენ რომ ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს რა, თუ რუსეთიდან კავკასიაში ხალხი დაიძვრისო! საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი! —რომელ ადამიანს მოუფა ჰქუაში რეზოლიუცია გამოიტანოს იმის შესახებ, რომ რუსტრივიდან თუ რუსი ვაგონით თბილისში ჩამოვიდა,—ამისი წინააღმდეგი არა მიქნებათ! ან რომელი იდიოტი იქნება იმისი წინააღმდეგი რომ მოსკოვიდან რუსებმა ბილეთები აიღონ თბილისში წამოსასვლელად!—ეს, რასაკვირველია, ლათაიები იყო, და ვერც კი ჰბედადნენ ამაზედ ლაპარაკს, თუ არა კერძოდ. მაგრამ მით უარესი,—რაც „კერძოდ“ ლაპარაკით მათ ვენბა მოუტანეს ქართველ ერს, მისი მეთასვლი არა უქნიათრა თავიანთი დუქნური ლიტერატურითა და ენით! მაგრამ მათ ერთი უფრო საბოლოო საგანი ჰქონდათ თავიანთ რეზოლიუციაში: თუ თავისუფალი მიწები იქნება ჩვენში,—მაშინ არაფერი წინააღმდეგი გვექნება საქართველოში გადმოსახლებისაო,—ამბობდნენ და ამბობდნენ ესლაც ეს ვებატონები!—როგორ, განა ისიც არ იცით, არის თუ არა ჩვენში თავისუფალი მიწები? როგორ, თუ იცით, განა ატყუებთ რუსის „მეგობარ“ ხალხს? ეს ხომ იმერლის სესხია,—თუ ვიშოვნე,—უეჭველად მოვართმევთ ამოდენს და ამოდენსაო,—თუმცა კი დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ვერც იშოვნის და არც ვცდება რომ იშოვნოს! როგორ, ნუთუ ერთი გუბერნია მარტო არხანგელსკისა სამჯერ მეტი არ არის თვით მთელი საფრანგეთის ტერიტორიაზედ? ნუთუ საქართველოს მცირე ტერიტორია, რომელსაც დაგლეჯას უბირობენ ეს ოცდა ხუთი საუკუნეა. განსაკუთრებით ამ ერთი საუკუნის განმავლობაში, შესძლებს დიდი რუსეთიდან, ქვეყნის შეეჭვსედიდან, ხალხის მიღებას და დასახლებას, მაშინ როდესაც საქართველო უფრო მჭიდროდ არის დასახლებული ვიდრე რუსეთი?

თუ იცით ეს,—რად გვღაღღატობთ ჩვენ, თუ არ იცით რას არახუნებთ, ან სხვას რად ატყუებთ, რად ღალატობთ სხვას? რომელია ამაში საქადელი საქციელი?

ან და იქნებ თავისუფალი მიწები ისე გესმისთ, როგორც მთავრობასა და მის დამკაშებს? თბილისის გუბერნიაში, მაგალითად, სულ ირიცხება 3,681,510 დესეტ. მიწა. აქედამ სახელმწიფო მიწა არის 2,015,082 დესეტ. მიწა, ე. ი. ორი წილი, და რასაკვირველია ამ მიწაზედ აქვს სახელმწიფოს თავისუფალი მიწები, ქართველს გარდა ვისაც უნდა იმას ურიგებს, და ეს ტერიტორია კი რა უფლებით, რათა აქვს ჩადგებული მას ხელში, რომ მთელ ნაცისა ჰღუპავს,—ამას ჩვენებური ესდები ისე არ დაგიდევს, როგორც ტიმოშკინი.

ოთხმოციან წლებში გორის მაზრაში სახელმწიფო გლეხზედ მოდიოდა სულზედ 0,5—3 დეს. მიწა. იყო სოფლები, რომელთაც სულზედ მოსდიოდათ ერთი მეოთხედი დესეტინა მიწა; დუშეთის მაზრაში კომლზედ ერთი დესეტინა, თელავის მაზრაში 4 დესეტინა, კახეთში იყო საზოგადოდ სოფლები, სადაც სულზედ მოდიოდა საშუალოდ 0,2 დეს. სავენახე, სახნავ-სათესი 1,2 დეს., იყო სოფლები აგრეთვე, სადაც სულზედ მოდიოდა სახნავ-სათესი და სავენახე ერთად 1,45 დეს.

მხოლოდ მიწა არა უმეტეს 2,04 დესეტინისა! გერმანელებს მთავრობამ მისცა მამაკაცს სულზედ 4,1; 25 დეს.—ქვეთბილისისა და ბორჩალოს მაზრაში, ქართველებს 3,5 დეს. 0,25, 0,50 დეს. მიწა, ან სულ არა ჰქონდათ რა. რამდენ თავისუფალი მიწა ყოფილა ჩვენში!... ჯავახეთში მთავრობის ომნებს დაურიგა 20—100 დეს. კომლზედ, სახელმწიფო სანდლო და საარენდო მიწები, ქართველს კი იქ 3,52 დეს. მიწა აქვს კომლზედ. ბორჩალოში კომლ სომეხზედ მოდ 10—30 დეს. ქართველს კი აქვს 2—5-მდე. რუსებს აქვს 26,51 დეს., ბერძნებს 30, 50, 70 მდე. თათრებს 20—50 დეს. ამასთანავე ქართველი გლეხი ხუთჯერ მეტ გადასახადს იხდის სხვებზედ. ეთნოგრაფიკული შორის სოლიდარობაც ეს არის! ასე უნდა მისი განმტკიცება,—და აბა დაუკარით ტაში გადმოსახლებას, ნუ გექნება მისი ნურაფერი წინააღმდეგი,—თავისუფალი მიწები ბევრი ქართველს საქართველოს ტერიტორიაზედ, რომელიც მთლიანად იცდა ხუთი საუკუნის განმავლობაში, ნულიდან სადესეტინა მიწა,—რუსს, სომეხს, ბერძენს, გერმანელსა კიდევ ვინ იცის ვის—20—100-მდე! გაგონილა? სად არის სამართალი, ან „თავისუფალი მიწა“, რომ გასქდეს და ასეთი სამართალი და ინტერნაციონალიზმი ქვესკენლში ჩაიტანოს! მთელი ჯავახეთი მოგვეწყვიტეს, 30,000-ობითა სხვებსასხელებდნენ სამხრეთ საქართველოში, თვითქართლ-კახეთასობით არიგებდნენ დესეტინა მიწებს, მაშინ როდესაც ქართველი გლეხი, მისი პატრონი სამართალითა და ისტორიით შიმშილითა კვდებოდა *),—და აქაოდა სახელმწიფოაო, მტკიცედ არის მიწა თავისუფალი? მერე ისეთი ზომებით წავლჯილი მიწები მთელი ერის საღაროდან სახელმწიფოს მიერ, ეს არის თავისუფალი მიწები?—ასეთი თავისუფალი მიწები კიდევ ბევრია საქართველოში,—და აბა ვცადეთ, არ გაუშვას ცემეთ ბუკსა და ნაღარას რომ მალე სხვამ წაიღოს დანაჩენიც სახელმწიფოს წყალობით და გამტკიცდეს ჩვენში „სოლიდარობა“ და „ინტერნაციონალიზმი“!... თუმცა, მართალი გითხრათ, რაც გულგრილობა გამოიჩინეს ჩვენმა სოციალისტებმა ამ უკანასკნელად საქართველოში მიწის მობილიზაციის დროს სხვათა ხელში ქართველთა ხელიდან, რათვით რუსეთის შეუღარებელ პარლამენტში ჩვენმაც და სხვებმაც ყოყმანით შეჭვდეს გადასახლების საქმეს და ტიმოშკინის „პოპრავკასაც“ კი გაუწიეს ანგარიში,—ამას იქით აღარა მწამსრა, აღარ ვინდობი არავის, რადგან ჩვენიც სხვისაც,—ყველა მათგანი, სიტყვით ბულბული, საქმით იგი ტიმოშკინია.

ამაზედ, რასაკვირველია, იმას იტყვიან, რომ ჩვენ ასუსამართლობას ვებრძვიოთ, თუმცა შემოსხენებული რეზოლიუციიდან იგი არა სხანს! მაგრამ, კარგი, ესტკევათ, რა „ებრძვიან!“—მაგრამ იმას აღარ იკითხავთ, თუ ვინ ებრძვის? ვინმე კარლო ჩხეიძე, ან გვეტკორი, ან ლომთიძე „ებრძვის“ რუსეთის პარლამენტში!—კაი ნუგეშობთქვენმა მზემ, კიდევ რომ მოინდომონ ამ მირაბობებმა საქართველოს ერის გამოსარჩლება! მათი „ბრძოლით“ განათავსდებულ ხალხს კი რა ვუთხარი!—ვაი იმ ერს, რომელს ასეთი მებრძოლნი ჰყავს!—და ვის ებრძვიოთ?—საუ

*) იხილეთ ყველა ამაზედ წერილები მიხეილ თბილისისა: „Кавказ“, №№ 9, 13, 14,—1907; «Закавказье», №№ 77, 80, 83; „Тифლის“ № 24 და სხვ. 1907 წ.



თუ შექმნილ რუსეთის რეჟიმის დამხობას ლომთა-
 გები და ჩხეიძეები მოახერხებენ? და სანამ მას საკუთა-
 მირები დამხობდნენ,—ჩვენი სახსენებელიც ადარ იქნება
 ანაზე! ჩვენ თუ ეროვნულად არ შევკავშირდით და არ
 წყვეთ თავის დაცვა,—ტყუილია ან ჩვენი მირაბობის
 დი, ან ძველი რეჟიმის დამხობისა რუსეთში, ან თუ გინდ
 ეთის თავისუფლება, რომლისაგანაც არავითარი ლადი-
 არ გამომდინარეობს საქართველოს თავისუფლება და
 ჩვენების შენახვა. ბევრი გვინახავს მომავალ შესაძლებელ
 ეთზედ უკეთები „რეჟიმები“, მაგრამ იქ „საქართველო-
 ისე კვდებიან, როგორც ესლა ჩვენ მივდივართ განა-
 ლებისაკენ!—ესენი კი გვეუბნებიან—გობრძებით! მაგისტანა
 ლის არაკები, მაგისტანა ზღაპრები თქვენ დარეჯანებს
 ბეთ ყურში, როდესაც ჭერზედ ბუზების თვლას დაიწყებთ
 ლით დადლილები, ტანტზედ მწოლარენი—ჩვენ კი, და
 ც ერთ გონიერ ადამიანს, მაგ ცალიერი სიტყვით ვერ
 ხვევთ თვალს!

ალაროდელი

«ძმობა», «ერთობა» და «სიყვარული»

მსურს რომ ყვეყანა გულში მივიკრა
 და გახსნილი მაქვს ყველასთვის გული!..
 დაბადებიდან თან ჩამესახა;
 „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“,
 მაგრამ მერე რა? ვიღას და უნდა
 «ძმობა», «ერთობა» და „სიყვარული“?
 დღეს სუყველგანა და ყველასათვის
 კუჭია მხოლოდ გამეფებული.
 ძალ-მომრეობა და მტაცებლობა
 კანონი არის და სამართალი.
 ვინც დამარცხდება —ის მტყუანია,
 ვინც გაიმარჯვებს ის—კი მართალი!
 აი, ხომ ხედავთ, ჩემზე რომ მოდის?
 სახლიკაცია და მეზობელი..
 უნდა ჩემ სახლ-კარს დაეპატრონოს
 და ზედ დამაკლას ჩემი მშობელი.
 ნუ თუ სკვითი კი არ მეყოფოდა,
 ახლა რომ მოდის კიდევ სხვა მები?
 ჩემს მიწა-წყალზე ჰსურს დაესახლოს
 და მოიმაგროს სამკვიდროთ ფები!
 ვხედავ, ვუყურებ, მაგრამ მე მარტოს
 არ მაქვს საბრძოლი ძალი და ღონე...
 ვიწვევ მოძმეებს დაუფარავად
 და არვინ არის მათშიც გამგონე.
 მაშ რას მიშველის გულ-გახსნილობა
 დამშვიდებული რომ არ მაქვს სული
 და რად ვატარო? ვისთვის და რასთვის?
 „ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.
 აკაკი.

სიმართლის კალამს
 (გუბღენი აკაკის)

კურთხეული გაქვს კალამი, სიმართლის მთქმე-
 ლო მგოსანო,
 ზოგისთვის ეკალ-სიმწარე, ზოგისთვის ვარდი სო-
 სანო,
 ქვეყნის ჭირ-ვარმის მთხრობელო, სულ მნათო და
 სხივოსანო!
 ნუ დაგვიშურებ შენს ლექსებს, საგულისხმოს და
 საამოს,
 საწყალმა ხალხმა იგემოს და მითი გული იამოს,
 ხოლო შენ ჯილდოთ უფალმა გადღეგრძელოს და
 გაამოს!
 ამ ვაგლახსა, ფუქსავატ დროს, ყური ვის უგდოთ
 თუ არ შენ,
 ჩვენს გულის წუხილს, ჩვენს ტკივილს მხოლოდ
 შენ თუ ლა მოხარჩენ
 „გაგვიძებ, ბერო მინდიაგ“! გზა გაგვიკაფე ისევ შენ!
 ნუ გატკენს გულსა ეშმაკთა სიტყვა—პასუხი უშ-
 ვერი
 კუდიანების შაირი, გუდა ურცხოებით ნაბერი,
 ვილაც ბიჭ-ბუჭთა ლაქლაქი, მათი ნაბლაჯნი-ნაწერი
 ეშმაკნი ვერას დაგაკლენ, ვერც წყვდიადისა ჩრჩი-
 ლები,
 გაქარწყლდებიან მზის შუქზე კოლო-ბუზები, მლი-
 ლები
 შენ კი მარადის თაყვანს გცემს საწყალი ხალხის
 შვილები!
 ვანო ბარათაშვილი.

იცნობთ ნიკოს?

(ამბავი)

სალამო ხანი იყო. საქალაქო ბაღში ხალხი
 ბლომად დასეირნობდა. მე და ჩემი ამხანაგი
 ერთს გრძელ სკამზე ვისხედით და გამვლელ-გამო-
 მვლელს ვათვალთვლებდით. უცებ თვალი მოვკარ
 შორიდან მომავალს ახალგაზდა ქალ-ვაჟსა და დავა-
 ცქერდი. ქალი მოდიოდა თავ ჩაღუნული და, თი-
 თქო რისიმე რცხენიანო, მალი-მალ წითლდებოდა
 და თვალებს მიწას აშტერებდა. ვაჟი მშვენიერს
 ევროპიულს ტანისამოსში გამოწყობილი, 23—24
 წლისა, მისდევდა მანკვა-გრებით ქალს და ეშმაკუ
 რის ღიმილით გვერდზე გადახედავდახოლმე. მე და-
 მაინტერესა იმათ ვინაობის გაგება, განსაკუთრებით
 ყმაწვილ კაცისა და ვკითხე ჩემს ამხანაგს, ხომ არ
 იცნობ მეთქი ამ ვაჟსა.

მაგ ყმაწვილს? ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ! ეგ განთქმულია მთელს ქალაქში და აბამაგას როგორ არ უნდა ვიცნობდე! ეს სიტყვები ისეთის კილოთი სთქვა, რომ მე მივხვდი, რითაც უნდა ყოფილიყო ის განთქმული და ვთხოვე ვამბნა რამე ჩემთვის იმის ცხოვრებიდან. ამხანაგი დამთანხმდა და მოჰყვა. მაგ ყმაწვილს სახელათ ნიკო ჰქვიან. ნიკო დიდად შეძლებულ, სოფ. ჯ-ის მემამულის, გიორგი ქ—შვილია. სწავლა რუსეთში აქვს მიღებული და დიდს ნებივრობასა და ფუფუნებაშია აღზრდილი; პატარაობიდანვე მიჩვეულია სხვის დაჩაგვრას, ადამიანის დამცირებას და ყოველთვის იმასა ცდობობს, რაც შეიძლება მეტი სიტკბოება იგემოს ამ ქვეყნად, თუნდა ამისათვის საჭირო იყოს სხვისი გაუბედურება, სხვისი დაღუპვა. ყველა ამ თვისებასთან ერთად მას აქვს ერთი თვისებაც, რომელიც უწყობს ხელს თავის წადილთა და მისწრაფებათა მისაღწევად.—ეს არის ცბიერება. ამ ხერხს მიმართავს ხოლმე იგი ხშირად, როცა გრძობს, რომ პირდაპირი მოქმედება ფონს ვერ გაიყვანს. მე თვითონ ვყოფილვარ იმათ სოფელში და ბევრჯერ გამიგონია იქაურ გლეხებისაგან იმის დამახასიათებელი ამბები. მრუშობით და გულქვაობით მამაზე გაცილებით უარესიაო. ჯერ ოცს წელიწადს არ გადასცილებია და მთელს სოფელს იკლებსო. სხვაფრივ შეწუხებას ვილა ჩივის, დედაკაცს ვერ გაუვლია მაგის შიშით და ქალსო, ლამის მოთმებიდან გამოგვიყვანოს მაგ რჯულზე ხელ აღებულმა და სისხლს შეგვამთხვიოსო. სოფელ ჯ—იდან წასულიყო ქალაქში ვინმე გიორგი მწუხარაშვილი. ის იქ ვაჭრობდა ხან ფქვილით, ხან მარლით ხან კიდევ ღვინით და ამგვარად არჩენდა თავის თავსაც და ცოლშვილსაც. ზამთარში იმისი ცოლშვილი ქალაქში ცხოვრებდა, ზაფხულში თავიანთ სოფელში, მწუხარიშვილსა ჰყავდა ორი პატარა ქალ-ვაჟი და ერთიც უმფროსი, 16—17 წლის ქალი თამრო. თამროს ახლად გათავებული ჰქონდა სამაზრო ქალაქის ოთხ კლასიანი საქალგობო სასწავლებელი და თავის შესაფერად საკმაოდ განვითარებული იყო იმის ხასიათის უმთავრეს თვისებას შეადგენდა: გულკეთილობა, პირდაპირობა, პატიოსნება და ცოტა არ იყვის გულუბრყვილობაც. ამ სულიერ თვისებასთან ერთად ის უხვად დაჯილდოვებული იყო გარეგნულის სილამაზითაც. თამრო იყო მოხდენილის ტანისა და იშვიათის სხის პატრონი. განსაკუთრებულ მიზიდველობას აძლევდა დიდრონი შავი თვალები, რომლებიც შემოხედვაც საკმაო იყო, რომ გეგრძნო რაღაცა იდუმალი ძალა, რომელიც გიმონებს, გიმორჩილებს და გიქრობს შემოსეულს ყოველს

უწმინდურს ზრახვას და მის ბაღლად წმინდას უბიწო გრძობებს გიღვიძებს. დიახ, ამ გვარად მოქმედებდა ეს ცბიერი ლა ადამიანზე... მაგრამ ყველა ხომ ადამიანი არის. ბევრი მარტო ადამიანის სახეს ატარებს აზრით, გრძობით და გულით კი ნამდვილი პიტყვი და მახეცია.

ნიკომ და თამრომ, როგორც ერთ სოფელ მცხოვრებლებმა, მალე გაიცნეს ერთმანეთი: კომ მარჯვეთ ისარგებლა თამროს გულუბრყვიობით. პირველ გაცნობიდანვე, გაიგო რა თამრის შეხედულობანი, აზრები, მიმართულება, ხშირად უბრებოდა ხოლმე სხვა და სხვა საზოგადოებრივ კითხვებზე, ქალთა ემანსიპაციაზე, ზნეობაზე და სხვა ლობდა თავი იდეალისტად და წმინდა კაცად ეჩვენებინა. თამრო მალე დარწმუნდა, რომ წმინდა განათლებული, პატიოსანი კაცი იყო და იმისა დაასი სასიამოვნოდ მიაჩნდა და ბევრჯერაც გაბოდა ხოლმე ახლო-მახლოს სასეირნოდ. ერთხელ საღამოთი, როდესაც მზის სხივებს თან და თან აღდებოდათ ცხოველ-მყოფელი ძალა და ღამე რს აღარ იყო, თამრო სახლიდან გამოვიდა გასწია თავიანთ ვენახისაკენ. ცოტა რომ მოსვლიდა სახლს, თამრომ დაინახა მეორე მხრიდან კენ მომავალი ნიკო, რომელიც საღამოთი ახლოვდა თამროს, მეგობრულ მასღაათში ნისთხოვა ერთად გაველოთ თავიანთ ბაღისაკენ, რო დასთანხმდა. ბაღი საკმაოდ მოზრდილი და ვაზებთან ერთად მრავლად ხარობდნენ სხვა სხვა ხეხილებიც. ნიკოსთან ბაღში თამრომ პირდაპირად იგრძნო რაღაც უნებლიე გამოურყვნილობაში.

— ნიკო, აღარა ღირს ეხლა ატმის ხე ასვლა, დავბრუნდეთ შინა, საცაა დაბინდდება დეც. უთხრა თამრომ დაბურულ კაკლის ხეებს მიუახლოვდნენ.

— არა, თამრო, რახან ბაღში შემოგსულვებარემ ერთი ორი ატამი მოვგლიჯოთ და ისე ვიდეთ შინა. თამრომ წინააღმდეგობა აღარ გაუგულში თავის თავსაც კი უსაყვედურა უსაფუძვლო შიშისათვის და ორთავემ გასწიეს ატმის ხესაკენ. ცოტა ხნის შემდეგ გაცხარებული გამწარებ ბრძოლა გაიმართა თამროსა და ნიკოს შორის. სულ ერთიან შემოეხია სამოსელი.. მაგრამ საკმარისი ველია. სუსტი, ნაზი ქალი ისეთის ძალღონით ბრძოლა გამხეცვებულს ნიკოს, რომ ერთი ხელს გამოუსხლტდა კიდევ ხელიდან. მაგრამ შორს გაექცა; გადაუხტა ნიკო წინ, ქალი ისევ დაელოდა თამრომ მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და მის



დავიწყებით დაიწყო ბრძოლა თავის შეურაცხველთან, ხან ფრჩხილებით აფხაქნიდა სახეს და სულჯდა თმას, ხან კბილებით დააფრინდებოდა თავებზე, ხან აფურთხებდა, ლანძღავდა, არცხვედა, ხან ყვირილს მორთავდა ხოლმე ეგების ვინაგვიანოს და მოვიდეს ჩემს დასახსნელადო. რამ ამოდ! თავი ვერ დააღწია გამხეცებულ კისრს — პირუტყვს. მშველელი არსად იყო. ქალი ზოიდა ბრძოლით, ძალა გამოეღია უკანასკნელად მოხდა გულიდგან სასოწარკვეთილი ხმა და გრძნობა დაკარგა..

ბნელოდა. ნიკო აღარსად სჩანდა. თამრო მბაცით წამოიდა ამღვრეულის თვლებით აქეთ და იტყობოდა, სახე სულ მთლად გამოსცვლოდა. წინანდელი თამრო აღარ იყო. თავსდამტყდარს ეტყობოდა ვერ გამოჩვენებოდა. ასე იყო რამდენიმე წუთს, შემდეგ როგორღაც უცნაურად შეტყვირა მორთო გულ-შემზარავი ტირილი, შეშინებულის თვლებით გადახედა იქაურობას და გადადგა ნაპირი.

„მე ვენდე, იმან არ დამინდო. ბუტბუტებდა თბილი, მე პატოსან კაცად მიმაჩნდა... პირუტყვი...“ — უკვირებოდა... ძალა იხმარა... დამამცირა, ფეხს მამე გაქვლა ჩემი პატოსნება, ადამიანობა... ქალო გაინარჯვა...

სად წავიდე!.. ვის მივმართო.. სახლში ვერ ვიქნებოდი ვერ დავენახებები დედა ჩემს, მამა რომ მოქალაქიდან, რას იტყვის! რა პასუხი გავცე, რა ვთქვა?.. არა, არა! სახლში ფეხს ვეღარ შევდგამი ლევანი?... ლევანი ეხლა იქ, შორს ქალაქშია.

რა იცის საბრალომ, რომ მისი თამრო გაუტყვირებულია, ნამუს ახდილი, დამცირებული... მე სიკვდილის მეტა არა დამჩენია. რა... მ... ს... კვდილი!.. ნაწყვეტ ნაწყვეტათ ლაპარაკობდა თამრო და თან მდინარეს უახლოვდებოდა.

იგი უკვე მდინარის პირას იდგა. თამრო გადგა, და უგნურად დაუწყო მდინარეს ცქერა დაკვებასავით უძრავად იდგა ერთ ალავს და მხოლოდ იმისი გამალებული გულის ცემა ამტკიცებდა, რომ ის ცოცხალი არსება იყო. ასე იყო რამდენიმე წუთს. შემდეგ მოუსვენრობა დაეტყო. სახე მალე იცვლიდა ხოლმე ფერს და გამომეტყველოდა ეტყობოდა საშინელს სულიერს ბრძოლას განიცდიდა. ორი მოპირდაპირე გრძნობა ერთ მანეთს შეჰკრებოდა სურვილი სიცოცხლისა და სურვილი მისგან განსხვავებისა. ბოლოს გასწორდა წელში სახეზე სილობელი გარდაწყვეტილება დაეტყო... მწუხარებით გაიქნია თავი, და უკანასკნელად მოავლო თავი იმ ადგილს, სადაც ბავშვობისას მხიარულად


ატარებდა დროს. აქ, წყლის პირას, სადაც ნიკო სდგას, ბევრჯელ ჩამომჯდარა და ხშირად წარუბრუნებია თავის საყვარელს ფიქრებს... მდინარის დუღუნს, ფრინველთ გალობას და ფოთოლთ შრი-აღს საოცნებო სამყაროში გაუფრენია. „მშვიდობით. მშვიდობით მშობლებო. ჩემო ლევან, ჩემო პაწია გოგიავ, მარიკო... მშვიდობით... და ბუტბუტით და დუღუნით მომავალ აზვირთებულ მდინარეს ტალღებმა შთანთქმეს თამრო და კვლავ გაუდგნენ თავიანთ გზას...“

— ორიოდე დღის შემდეგ ერთ შორეულ სოფლის ახლო, რომელსაც მდინარე ჩაუღიოდა, მოხანავე ბიჭები წააწყდნენ კლდეებში გაჩხირულს ქალის გვამს. შეშინებული ბიჭები გაიქცნენ და სოფლებს შეატყობინეს. ეს გვამი თამროსი იყო, რუმბივით გასიებულიყო და სახე სულ მთლად დამახინჯებოდა და გამოსცვლოდა. რა მწუხნრებაშია ცოცვინდებოდნენ თამროს დედამა, შენც კარგად წარმოიდგენ... ჩემი ამხანაგი გაჩუმდა. მეც გატვრენილი ვიჯექ და მწარე ფიქრებმა წამიღეს. ჩემი ამხანაგი იჯდა და თამბაქოს სწევდა.

— მერე ვერავინ გაიგო, ვინ იყო მიზეზი თამროს დაღუპვისა?

— როგორ არ გაიგეს. ცოტა ხნის შემდეგ ყველამ გაიგო, რომ მიზეზი ნიკო იყო. თამროს მამას ჯერ უნდოდა ნიკოს წინააღმდეგ საჩივარი აღეძრა, მაგრამ მალე თავი დაანება ამაზედ ფიქრს... კარგად იცოდა, რომ ვერას განდებოდა ამ გვარ ბრძოლით ნიკოსა და ნიკოს მამასთან... რომ გამხდარიყო კიდევ, შეურაცხყოფალ მამას განა დააკმაყოფილებდა სასამართლოს დასჯა! მას სურდა შური ეძ ა, სისხლისათვის სისხლი აეღო... მშვიდობიანობის მოყვარეს და წყნარს ვაჭარს ხელში იარაღი აეღო და დღე და ღამ გამუდმებით სდარაჯობდა თავის დამღუპველს, მაგრამ ვერ მოასწრო თავის სურვილის ასრულება. ხალხის დიადი განმათვისუფლებელი მოძრაობა დღითი დღე ძლიერდებოდა. იგი სოფელსაც მოეღო... ნიკოსაც მიეჭრა სახლში შურის საძიებლად არა თამროს მამა, არამედ მთელი აზვირთებული, იქ ური სოფლის გლეხობა... ვაი იმას ვინც გლეხობის გულის წყრომას წინ აღუდგებოდა... ნიკომ ერთის წუთითაც არ მოასწრო უკანა კარებიდან გაპარვა და საშინელის მსჯავრისაგან თავის დახსნევა... ნიკო ეხლა ამ ქალაქში სცხოვრობს. აქაურს „ბარიზნებში“ იმის აზვეილ უღვაშებს და ერთობ მოხდენილ ტანს და კობტა, მშვენიერს ტანისამოსს დიდი გასავალი აქვს. მაგრამ ბევრი კი იცნობს იმის შინაგან ვინაობას, იმის სიღუბნეურს? ვაი, რომ არა!

ქართული ხელოვნება



ი. ნიკოლაძის ქანდაკი—(ნ. დოდგერძის ბიუსტი)

(ნადსონიდან)

მე ვიზრდებოდი შენთვის უცხო, ხალხო დევნილო,
 მადლ-მოფენილი ციურ ჰანგებს სულ არ ვიმდერდი;
 ძველსა თქმულებას, სევდისაგან მწარე დაჩაგვრას
 და შენს მოძღვრებას არ ვისმენდი, ყურს არ ვუ-
 გდებდი!
 თუნდ, ვით წარსულ დროს, ეხლაც იყო ძლიერა მო-
 სილი,
 შეგინებული აღარ სძაგდე მთელს ქვეყანასა;
